*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2026

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა .... 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი .... 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .... 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .... 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .... 26

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .... 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები .... 33

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზაალ კიკვიძე<br>არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ქართული ფილოლოგია |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Georgian Philology |
| უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0231 ენის დაუფლება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წელს აკრედიტაციის საბჭოს #67 გადაწყვეტილებით (21. 03. 2019). |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |
| დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დეკლარირებულად ისახავს მიზნად მოამზადოს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ქართულ ფილოლოგიაში. პროგრამის მიზნობრივი ფორმულირება მოიცავს როგორც დარგობრივ, ისე ზოგადჰუმანიტარულ კომპონენტებს, რაც მიუთითებს მის ინტერდისციპლინურ ორიენტაციაზე და შესაბამისობაში მოდის საბაკალავრო საფეხურისთვის დადგენილ ზოგად მოთხოვნებთან.

პროგრამის აღწერის მიხედვით, „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს უზრუნველყოფს საფუძვლიანი თეორიული ცოდნით ქართულ ფილოლოგიაში და პარალელურად სთავაზობს ზოგად ცოდნას ჰუმანიტარულ დისციპლინებში. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს სტუდენტთა აკადემიური მსოფლმხედველობის გაფართოებას და მათთვის შესაბამისი ინტელექტუალური საფუძვლის შექმნას შემდგომი პროფესიული ან აკადემიური განვითარებისათვის. ამასთან, პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია კომპლექსური და სისტემური ცოდნის ფორმირება შესაბამის დარგში, რაც მნიშვნელოვანია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ საბაკალავრო დონის დესკრიპტორებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამა გარკვეულწილად უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას შესაბამისი აკადემიური საფეხურისათვის, აგრეთვე ყურადღებას უთმობს მეცნიერული პატიოსნებისა და სამეცნიერო ეთიკის ნორმების სწავლასა და დაცვას.

საერთო ჯამში, „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნები ფორმალურად შეესაბამება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს საბაკალავრო განათლების ზოგად ჩარჩოს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

**მონიტორინგის პროცესის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 25 იანვრის ბრძანების (MES 3 26 0000061959) საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ხვთისო მამისიმედიშვილი (თავმჯდომარე), ზაალ კიკვიძე (წევრი) და 2026 წლის იანვარ–თებერვალში ამ მიზნით განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში და სხვა შესაბამისი მასალები. ასევე, ინდივიდუალურად იქნა

განხილული აკრედიტაციისა (2019 წ.) და გეგმიური მონიტორინგის (2023 წ.) ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის მასალების მიღებისთანავე ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა და პროგრამის გაცნობა/შეფასება. შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების შესაბამისობას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".

დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს სრულყოფილი სურათი პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და მათი შეფასების მექანიზმების, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის, სასწავლო კურსების სილაბუსების, სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტთა შეფასების სისტემის, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლინდა რიგი პოზიტიური ცვლილებები, თუმცა აღნიშნული ცვლილებები არ შეხებია პროგრამის სტრუქტურასა და პროგრამის მიზნებს. სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის დამატების შედეგად პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატა მხოლოდ რამდენიმე პუნქტი, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ სტანდარტებთან.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებები. შედეგად, „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ექვსის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამ კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად თანხვედრაშია პროგრამის დეკლარირებულ მიზნებთან. სწავლის შედეგების ფორმულირება ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად და, ზოგადად, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისათვის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესაბამის დარგში — ქართულ ფილოლოგიაში — მნიშვნელოვანი, თანამედროვე და პროფესიულად რელევანტური ცოდნის მიღებას. სასწავლო გეგმა აერთიანებს როგორც ზოგადჰუმანიტარულ, ისე სპეციალურ ფილოლოგიურ სასწავლო კურსებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას. აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება ჰუმანიტარული მიმართულების თანამედროვე სწავლების ძირითად პრინციპებს და სწავლების ინტერდისციპლინურ ხასიათს.

შპს საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საჭირო პირობებს. მიუხედავად ამისა, შეფასების პროცესში იკვეთება ზოგიერთი სისუსტე, ცალკეულ ქვესფეროებში, რომელთა დახვეწა და გაუმჯობესება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

- რეკომენდაციები

განხორციელდეს სასწავლო კურსის - **„შესავალი ქართულ ფილოლოგიაში“** - სილაბუსის შინაარსობრივი მოდიფიცირება, რათა იგი თანაბრად და სისტემურად მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საწყის საკითხებს, რათა კურსის სტრუქტურა უზრუნველყოფდეს აღნიშნული დარგების ინტეგრირებულად სწავლებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ქართული ფილოლოგიის როგორც ერთიანი დარგის, კომპლექსური და სისტემური აღქმის ჩამოყალიბებას.

- რჩევები

  - სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ – სისტემურად აისახოს არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც (საგნები: „დიადი წიგნები“, „კიბერ ჰიგიენის საფუძვლები“, „ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში“ და სხვა), რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და სწავლის შედეგების კომპონენტებთან, რაც გააძლიერებს სტუდენტებში დამოუკიდებელი სწავლის, პასუხისმგებლობის აღებისა და ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას.
  - სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალაში მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან **სავალდებულო (ძირითადი)** და **დამხმარე ლიტერატურა**. აღნიშნული პრაქტიკა გააუმჯობესებს სილაბუსების სტრუქტურულ გამჭვირვალობას და სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო მასალის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში, დროისა და რესურსების ეფექტიან დაგეგმვაში, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხის ამაღლებაში.
  - ახალი კურსის დამატებისა და სილაბუსების განვითარების კვალად მიეთითოს, რა ახალი ელექტრონული რესურსები იქნა დამატებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან (იხ. სტანდარტი 4. 1). დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები, როგორც აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის, ასევე აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
-

  პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლები და საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები დამაკმაყოფილებელია.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭომ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას. ამასთანავე დაწესებულებამ გამოგზავნა სასწავლო კურსის - „შესავალი ქართულ ფილოლოგიაში“ - მოდიფიცირებული სილაბუსი, რომელშიც ასახულია

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

რეკომენდაციაში გამოთქმული შენიშვნები. თუმცა დასკვნის პროექტის მომზადების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებს ჩასწორებულ და განახლებულ დოკუმენტს, რადგან მას სჭირდება შესაბამისი პროცედურების გავლა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**
    - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წელს აკრედიტაციის საბჭოს #67 გადაწყვეტილებით (21. 03. 2019). შეფასება განხორციელდა ყველა სტანდარტის მიხედვით. 2023 წელს (სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 2 23 0000984678 10/08/23 ბრძანების საფუძველზე) განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგი და ძალაში დარჩა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსის - „შესავალი ქართულ ფილოლოგიაში" - სილაბუსში ენის საკითხებთან ერთად ლიტერატურის კომპონენტის გაძლიერებას და სასწავლო საკითხების სახით მათ სილაბუსში ასახვას. თუმცა ექსპერტთა მიერ გაცემული ეს რეკომენდაცია კვლავ არ არის სრულად შესრულებული. ექსპერტები ამჟამადაც იმავე პოზიციაზე ვრჩებით და მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს სასწავლო კურსის — „შესავალი ქართულ ფილოლოგიაში" — სილაბუსის შინაარსობრივი მოდიფიცირება, რათა იგი თანაბრად და სისტემურად მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საწყის საკითხებს. კურსის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს აღნიშნული დარგების ინტეგრირებულად სწავლებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ქართული ფილოლოგიის როგორც ერთიანი დარგის, კომპლექსური და სისტემური აღქმის ჩამოყალიბებას.
    - უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებები დაზუსტდა და ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ექვსის მაგივრად ჩამოყალიბდა სამ კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამამ საანგარიშო პერიოდში პროგრესი განიცადა. თუმცა სწავლის შედეგების ეს სამი კომპონენტი პროგრამის ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსში ბოლომდე ასახული არ არის. პროგრამის დოკუმენტაციისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – **„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა"** – არასრულად არის ასახული არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში (მათ შორის: „დიადი წიგნები", „კიბერ ჰიგიენის საფუძვლები", „ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში" და სხვა). აღნიშნული გარემოება იწვევს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილობრივ შეუსაბამობას უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და სწავლის შედეგების კომპონენტებთან.
    - საჭიროა არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა და კორექტირება, რათა მათში მკაფიოდ და სისტემურად აისახოს სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – **„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა"**. აღნიშნული ცვლილებები უნდა მოიცავდეს შესაბამისი სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულ შესაბამისობას უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და ხელს შეუწყობს სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიური სწავლის უნარების განვითარებას.

- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანამდე პროგრამის კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა როგორც „ფილოლოგიის ბაკალავრი“, ხოლო შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ კვალიფიკაცია განისაზღვრა როგორც „ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი“, რაც პროგრამის შინაარსობრივ სპეციფიკას უფრო ზუსტად ასახავს.
- საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის ინტეგრირდა საგანი „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი“ (6 ECTS), რომელიც რომელიც ასევე სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. პროგრამა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევითი საგნების ორ ბლოკს — ჰუმანიტარულ-სოციალურ და STEM ბლოკებს, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 24 ECTS-ს.

## III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შეფასება |
|---|---|---|
| **1.** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | შესაბამისობაშია |
| 1.1 | პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |
| 1.2 | პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია |
| 1.3 | პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |
| 1.4 | საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია |
| 1.5 | სასწავლო კურსი/საგანი | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **2.** | **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | შესაბამისობაშია |
| 2.1 | პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია |
| 2.2 | პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია |
| 2.3 | სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია |
| 2.4 | სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია |
| **3.** | **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 3.1 | სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | აირჩიეთ შესაბამისი |
| 3.2 | მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა | აირჩიეთ შესაბამისი |
| **4** | **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | შესაბამისობაშია |
| 4.1 | ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 4.2 | მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | აირჩიეთ შესაბამისი |
| 4.3 | აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია |
| 4.4 | მატერიალური რესურსი | შესაბამისობაშია |

| | | |
|---|---|---|
| 4.5 | პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5 | **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.1 | შიდა ხარისხის შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.2 | გარე ხარისხის შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |
| 5.3 | პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | აირჩიეთ შესაბამისი |

**სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები** (იხ. ბმული)

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები**
**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო**
**რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე**
**შეფასების კრიტერიუმები**

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები საანგარიშო პერიოდში ცვლილებას არ განიცდიდა. პროგრამის მიზნები ფორმალურად თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე ქართულ ფილოლოგიაში.

პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა როგორც ქართულ ფილოლოგიაში, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ დისციპლინებში, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ფართო აკადემიური ხედვის ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია კომპლექსური და სისტემური ცოდნის ფლობა შესაბამის დარგში — ქართულ ფილოლოგიაში, რაც შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისათვის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ფილოლოგიურ განათლებასთან ერთად პროგრამა დეკლარირებულად უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას შესაბამისი აკადემიური საფეხურისათვის და ყურადღებას ამახვილებს მეცნიერული პატიოსნებისა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისია

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა სამ ძირითად კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. აღნიშნული ცვლილება ასახავს პროგრამის მცდელობას, სწავლის შედეგები მოიყვანოს შესაბამისობაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ სტანდარტებთან. ამავე დოკუმენტის გათვალისწინებით დაზუსტდა სწავლის შედეგების ფორმულირებები.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებები დაზუსტდა და ქართული ფილოლოგიის

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ექვსის მაგივრად ჩამოყალიბდა სამ კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. თუმცა სწავლის შედეგების ეს სამი კომპონენტი პროგრამის ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსში ბოლომდე ასახული არ არის. პროგრამის დოკუმენტაციისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – **„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“** – არასრულად არის ასახული არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში (მათ შორის: „დიადი წიგნები“, „კიბერ ჰიგიენის საფუძვლები“, „ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში“ და სხვა). აღნიშნული გარემოება იწვევს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილობრივ შეუსაბამობას უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და სწავლის შედეგების კომპონენტებთან.

საჭიროა არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა და კორექტირება, რათა მათში მკაფიოდ და სისტემურად აისახოს სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – **„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“**. აღნიშნული ცვლილებები უნდა მოიცავდეს შესაბამისი სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულ შესაბამისობას უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და ხელს შეუწყობს სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიური სწავლის უნარების განვითარებას.

სხვა მხრივ პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესაბამის დარგში — ქართულ ფილოლოგიაში — მნიშვნელოვანი, თანამედროვე და დარგობრივად რელევანტური ცოდნის მიღებას. პროგრამა აერთიანებს როგორც ზოგადჰუმანიტარულ, ისე სპეციალურ ფილოლოგიურ სასწავლო კურსებს, რაც შეესაბამება ჰუმანიტარული მიმართულების თანამედროვე სწავლების სპეციფიკასა და ინტერდისციპლინურ მიდგომებს.

სწავლის შედეგები, ძირითადად, ჩამოყალიბებულია როგორც გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და, უმეტეს შემთხვევაში, თანხვედრაშია პროფესიულ მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს — ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს.

**მკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (დანართი N2)

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი – „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ – სისტემურად აისახოს არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც (საგნები: „დიადი წიგნები“, „კიბერ ჰიგიენის საფუძვლები“, „ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში“ და სხვა), რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან და სწავლის შედეგების კომპონენტებთან, რაც გააძლიერებს სტუდენტებში დამოუკიდებელი სწავლის, პასუხისმგებლობის აღებისა და ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ეფუძნება შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ფილოლოგიის დარგის სპეციფიკასა და პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამაში გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების ფარგლებში გამოიყენება სასწავლო კურსების მიმდინარე (კვირეული), შუალედური და დასკვნითი საგამოცდო შეფასებები, ასევე საპრეზენტაციო ნაშრომების, რეფერატებისა და სხვა აკადემიური დავალებების შეფასება. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს მიეკუთვნება პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, სტუდენტთა გამოკითხვები და სხვა უკუკავშირის მექანიზმები. პროგრამის სამიზნეები განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგისათვის.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს მათი პერიოდული შეფასების პროცესს. პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში დაწესებულება აფასებს როგორც პროგრამის მიზნების, ისე სწავლის შედეგების მიღწევადობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება აკრედიტაციის სახელმძღვანელოში რეკომენდებულ მეთოდოლოგიას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (დანართი N1, N2, N3)

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ზოგადად, უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და აერთიანებს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნებს, არჩევით საგნებს, საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევით და თავისუფალი არჩევითი კომპონენტებს. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანამდე პროგრამის კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა როგორც „ფილოლოგიის ბაკალავრი“, ხოლო შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ კვალიფიკაცია განისაზღვრა როგორც „ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი“, რაც პროგრამის შინაარსობრივ სპეციფიკას უფრო ზუსტად ასახავს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის ინტეგრირდა საგანი „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი“ (6 ECTS). ასევე, პროგრამა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევითი საგნების ორ ბლოკს — ჰუმანიტარულ-სოციალურ და STEM ბლოკებს, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 24 ECTS-ს.

საბოლოოდ, პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც მოიცავს: კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო საგნებს (136 ECTS), საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევით ბლოკებს (24 ECTS), თავისუფალ კრედიტებს (18 ECTS) და დამატებით სპეციალობის საგნებს (60 ECTS). პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, მთლიანობაში, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შეფასება |
| --- | --- |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | აირჩიეთ შესაბამისი |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ასახულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციებისა და რეგულაციების, აგრეთვე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამაში ინტეგრირებულია საგანი „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი" (6 ECTS).

ექსპერტთა შეფასებით, საანგარიშო პერიოდში სილაბუსებმა განიცადა გარკვეული მოდიფიცირება; სასწავლო კურსების შინაარსი გამდიდრდა თემატიკითა და ლიტერატურით. ორ სასწავლო კურსში — „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი" და „ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია" — საკონტაქტო საათების ზრდამ და სილაბუსების გადამუშავებამ დადებითად იმოქმედა პროგრამის განვითარებასა და ხარისხზე.

სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია, რომელიც 2024 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდებულია სილაბუსების მოდიფიცირებისათვის. სილაბუსები, როგორც წესი, იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას კურსების მიზნების, შინაარსის, მეთოდებისა და სტრუქტურის შესახებ. ისინი უნიფიცირებულია და თითოეულ კურსს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი.

ამასთან, სილაბუსებში მითითებულ სასწავლო-საკითხავ მასალაში არ არის გამიჯნული სავალდებულო (ძირითადი) და დამხმარე ლიტერატურა. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალაში მკაფიოდ გაიმიჯნოს

